06.09.2023

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 15 ერთეული აგრომეტეოროლოგიური სადგური უსასყიდლოდ უვადოდ სარგებლობაში გადაეცა

„სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოსათვის, მუნიციპალიტეტისათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 დეკემბრის N791 დადგენილების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 04.09.2023 წლის N7115/01 წერილის შესაბამისად, სსიპ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, სააგენტოს უფროსის ზურაბ ჩეკურაშვილის N 289-9 ბრძანების საფუძველზე, 06.09.2023 წელს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს უსასყიდლოდ უვადოდ სარგებლობაში გადასცა 15 (თხუთმეტი) ერთეული აგრომეტეოროლოგიური სადგური დანართი 1 - ის მიხედვით.

21.09.2023

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს უსასყიდლოდ უვადო სარგებლობაში გადაეცა

საქართველოს კანონის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ 35-ე მუხლის, „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოსათვის, მუნიციპალიტეტისათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 დეკემბრის N 791 დადგენილების შესაბამისად, სსიპ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, სააგენტოს უფროსის ზურაბ ჩეკურაშვილის N 297-9 ბრძანების საფუძველზე, 21.09.2023 წელს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს უსასყიდლოდ უვადოდ სარგებლობაში გადასცა 1 (ერთი) ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება SHKODA RAPID, ვინკოდი TMBAD2NH3E4006068.